შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

სტრატეგიული გეგმის რევიზია
(2022 წლის მდგომარეობით)

2023 წ /იანვარი

სტრატეგიული მიზანი N1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება		
ამოცანა	**რევიზიის შედეგი**	**სრულად შესრულებული/ნაწილობრივ შესრულებული/ შეუსრულებელი**
1.1 . სასწავლო და დამხმარე ფართის შესაბამისობაში მოყვანა მოდულურ პროფესიულ პროგრამების მოთხოვნათა გათვალისწინებით	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის (შემდგომში კოლეჯი)სასწავლო და დამხმარე ფართის შესაბამისობაშია კოლეჯის მოდულური პროფესიულ პროგრამების მოთხოვნებთან. 2022 წელს მოეწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტის) შესაბამის სასწავლო გარემო. კოლეჯმა შეიძინა პროგრამისათვის საჭირო სასწავლო რესურსი.	სრულად შესრულებული
1.2 კაბინე -ლაბორატორიების (მათ შორის კომპიტერული ლაბორატორიის) და ბიბლიოთეკის ინვენტარის სრულყოფა	კოლეჯის მიერ შეძენილ იქნა 10 კომპიუტერის კომპლექტი, ლაბორატორიულ კაბინეტებში ფანჯრებზე მოეწყო ფარდა-ჟალუზები. ბიბლიოთეკის ინვენტარი აკმაყოფილებს მოთხოვნებს.	სრულად შესრულებული
1.3 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება	კოლეჯის ბიბლიოთეკა შეივსო წიგნადი ფონდით-შეძენილ იქნა 35 სასწავლო რესურსი. მთლიანობაში წიგნების რაოდენობა შეადგენს 2733 წიგნად ერთეულს.	სრულად შესრულებული
1.4 სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და პირველადი სამედიცინო დახმარებისგადამოწმება- სრულყოფა	უსაფრთხოების დაცვისა და გაუმჯობესების მიზნით 110 და 111 სასწავლო აუდიტორიაში -C გარემოში დამატებით განთავსდა ხანძარმაქრები კედლის ორივე მხარეს. სისტემატიურად ხორციელდება ხანძარმაქრების ვადების გადამოწმება უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით. სისტემატურად მოწმდება უსაფრთხოების თანამშრომლის მიერ გათბობის სისტემა.განახლდა ელექტრო-სადენების სისტემა.	სრულად შესრულებული
1.5 ინვენტარის განახლება/შეკეთება მისი ფიზიკური და მორალური ცვეთის გათვალისწინებით;ადაპტირებული გარემოს განვითარება	კოლეჯმა ინვენტარის განახლების მიზნით შეაკეთა კომპიუტერული ტექნიკა შეძენილ იქნა კომპიუტერისათვის შემადგენელი ნაწილები. გარემოს ადაპტირების მიზნით მოწყობილია პორტატული პანდუსები, თუმცა კოლეჯის გაუმჯობესებს გეგმის შესაბამისად, კოლეჯში 6 თვეში მოეწყობა ლიფტი	სრულად შესრულებული
1.6 გათბობის სისტემის გადამოწმება- სრულყოფა	პერიოდულად მოწმდება უსაფრთხოების თანამშრომლის მიერ გათბობის სისტემა.	სრულად შესრულებული

სტრატეგიული მიზანი N2. პროფესიული საგანმანათლებლო, სასერტიფიკატო და მომზადება-გადამზადების პროგრამები		
ამოცანა	**რევიზიის შედეგი**	**სრულად შესრულებული/ნაწილობრივ შესრულებული/ შეუსრულებელი**
2.5. პროგრამების შესაბამისად მასწავლებლების შერჩევა/ხელშეკრულებების განახლება,მათ ინტეგრირებაზე ზრუნვა	ჩატარდა მუდმივმოქმედი შესარჩევი კომისიის 32 სხდომა და აყვანილი იქნა პროფესიული განათლების 14 მასწავლებელი.	სრულად შესრულებული
2.6.შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი მოდულური, მოკლე ციკლის,გადამზადების და/ან სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება და დანერგვ	კოლეჯი მუდმივად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან მათი საჭიროებებისდადგენის მიმართულებით. შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით კვლევის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით ჩატარდა კვლევა . კვლევის გაანალიზებიდან გამომდინარე დაიგეგმა საგანმანათლებლო პროგრამების ,მომზადება/ გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება რომელიც განხორცელდება 2023 წელს	შეუსრულებელი

სტრატეგიული მიზანი N3. ხარისხის უზრუნველყოფა		
ამოცანა	რევიზიის შედეგი	სრულად შესრულებული/ნაწილობრივ შესრულებული/ შეუსრულებელი
3.1. სწავლების ინოვაციური მეთოდებისდანერგვის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართვას, ინოვაციური აზროვნების წახალისებას,საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას და შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვას	ივნისის თვეში საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის და აშშ-ს საელჩოს ალუმნი საგრანტო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგი ,, აქტიური სწავლების მეთოდები, კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება და პროფესიული პროგრამების განვითარება“. ჩატარდა 13 ტრენინგი/ვებინარი როგორც დარგის ასევე ზოგადად საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შესაბამისად, ტრენინგი გაიარა კოლეჯის 78 მა პროფესიული განათლების მასწავლებრელმა და ადმინისტრაციის 41 მა თანამშრომელმა	სრულად შესრულებული
3.2. სასწავლო პრაქტიკის ობიექტების ჩართვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კუთხით	ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამის განხორციელების უზრუნველ საყოფად დაიდო მემორანდუმი სიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან , სააგენტომ პასუხისმგებლობა აიღო ვეტერინარიის პროფესიულ სტუდენტებს რტეალურ სამუშაო გარემოში გამოიმუშავებენ პრაქტიკულ უნარებს როგორიცაა: ცხოველთა საყურე ნიშნის დადება, ცხოველთა აცრა და სხა განახლდა ხელშეკრულება საქართო განათლების პროფესიული პროგრამის ფარგლებში შპს გორმედთან,პრაქტიკის ობიექტები აქტიურად არიან ჩართულები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კუთხით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქო) ს ფარგლებში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს შპს პსპ ფარმა, სსპ გეფასთან.	სრულად შესრულებული
3.3. პროფესიული სტუდენტების,პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვების ჩატარება	საანგარიშო წელს განხორციელდა კვლევა, რომლის შედეგები და ანგარიშიწარედგინება დირექტორს	სრულად შესრულებული
3.4. ჩატარებული გამოკითხვების შედეგების გაანალიზება -შეფასება დაშესაბამისი ცვლილებების განხორციელება	გაანალიზდა ჩატარებული კვლევის შედეგები, და ანგარიში წარედგინა დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. შედეგად ცვლილება განხორციელდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გაფართოვდა კოლეჯის პრაქტიკის ბაზების არეალი და დაიგეგმა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგები, ხარისხის მენეჯერის მიერ გაიწერა გაუმჯობესების გეგმა.	სრულად შესრულებული
3.5. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული განახლება სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით	შევიდა ცვლილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში , ცვლილება განაპირობა პროფესიული განათლების მასწავლებელთა დამატებამ , მატერიალური რესურსის დამატებამ, მიდგომების გაანალიზებამ, სასწავლო რესურსის (წიგნადი ფონდის) განახლებამ.	სრულად შესრულებული
	15 თებერვალს ვეტერინარიის დარგის სპეციალისტის ლაშა ავალიანის მიერ კოლეჯის ამავე დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ვებინარი „ვეტერინარიის მნიშვნელობა და თანამედროვე მოთხოვნები ვეტერინარების სწავლებისათვის". გაიცა სახელობითი სერტიფიკატები 22 თებერვლიდან 29 მარტის ჩათვლით კოლეჯის ინფორმაციული წიგნიერების მასწავლებლის იამზე გოჩაშვილის მიერ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის მიმდინარეობდა ტრენინგი ინტერნეტის გამოყენებაზე და Google სერვისებზე. გაიცა სახელობითი სერტიფიკატები	სრულად შესრულებული

3.7. პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება-პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	15 მარტს ავერსის აფთიაქის მენეჯერის მაია თომაშვილის მიერ ჩატარდა კოლეჯის ამავე დარგის პროფრსიული განათლების მასწავლებებისთვის ვებინარი თემაზე „ფარმაცევტულ სექტორში არსებული სიახლეები და გამოწვევები". გაიცა სახელობითი სერტიფიკატები 16 მარტს კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ფატიმა ფარნიაშვილის მიერ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ვებინარი თემაზე „სსსმ და შშმ პირთა სასწავლო გარემო და მიდგომები". გაიცა სახელობითი სერტიფიკატები. 17 მაისს საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დარგის სპეციალისტებისთვის საქართველოს ეპიდემიოლოგთა ასოციაციის წევრმა ნინო ბლიაძემ ჩაატარდა ვებინარი თემაზე „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO)უახლესი მიდგომები და ზოგადი რეკომენდაციები თანამედროვე მედიცინაში". გაიცა სახელობითი სერტიფიკატები. 10 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის აშშ-ს საელჩოს ალუმნი საგრანტო კონკურსის ფარგლებში მიმდინარეობდა ტრენინგების ციკლი შემდეგ მოდულებში: აქტიური სწავლების მეთოდები, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება. გაიცა სახელობითი სერტიფიკატები. 09 სექტემბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა ნინო დვალმა ჩაატარა ტრენინგები პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ტრენინგის ძირითადი თემა იყო „შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება". გაიცა სახელობითი სერტიფიკატები 20, 27 და 28 ოქტომბერს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა ვლადიმერ ახობაძემ კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩაატარა ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების შესახებ. 03 ოქტომბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით კოლეჯის მოდულის „მეწარმეობა" განმახორციელებელი ლალი სრესელი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ ონლაინ ტრენინგებს მეწარმეობის შესახებ. 17-20 დეკემბერს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელმა მაია ჩადუნელმა მონაწილეობა მიიღო ტრენერთა ტრენინგში ძირითადი კომპეტენციებისა და სამუშაოსთვის მზაობაზე. გადაეცა სახელობითი სერტიფიკატი. 21 დეკემბერს კოლეჯის ვეტერინარიის დარგის სპეციალისტებისათვის ამავე დარგის სპეციალისტმა, ზოოტექნიკოსმა - გვანცა ბეჟანიშვილმა ჩაატარა პრაქტიკული ტრენინგი შემდეგ თემებზე: ცხოველთა ჯიშები და მათი შერჩევა; ცხოველთა განაყოფიერებამდე პროცესები და ცხოველთა განაყოფიერება (eye breed-ით). თეორიული ნაწილის დასრულების შემდეგ მოხდა საჩვენებელი ექოსკოპირება. გაიცა სახელობითი სერტიფიკატები.	
3.8 ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვა , შეფასების ინსტრუმენტის დახვეწვასა და სრულყოფაზე ზრუნვა .	2022 წელს ჩატარდა 6 ვერიფიკაცია,ჩართულები იყვნენ დარგის სპეციალისტები, ვერიფიკაციის შედეგების შესაბამისად დაიხვეწა შეფასების ინსტრუმენტი და დაგეგმილია 2023 წელს დაიხვეწოს ვალიდაციის პროცესი .ჩატარებული ვერიფიკაციის მტკიცებულებები: 2022 წელის 25 ნოემბრის ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა 2022 წლის 28 ოქტომრის ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა 2022 წლის 25 ოქტომბრის ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა 2022 წლის 24 ივნისის ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა 2022 წლის 26 მაისის ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა 2022 წლის 22 მარტის ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა	სრულად შესრულებული
3.9 ელექტრონული შეფასების სისტემის დანერგვა და განვითარება	Google classroom-ის გამოყენებით განხორციელდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა ჯგუფების მიხედვით დამატება, მეილების საშუალებით. პლატფორმაზე აიტვირთა ელექტრონული წიგნები და სხვა საჭირო სასწავლო რესურსი. უნარების სააგენტოს მიერ შემუშავდა პლატფორმა, სადაც სამომავლოდ განხორციელდება პროფესიული სტუდენტების დასწრების და შეფასების ელექტრონული აღრიცხვა.კოლეჯმა უზრუნველყო და გამოყო ელექტრონულ სისტემაზე პასუხისმგებელ პირები. უნარების სააგენტოს მიერჩატარდა ტრენინგები რაც გაგრძელდება 2023 წელს პლატფორმის დანერგვამდე.	სრულად შესრულებული

3.11 პერსონალის(მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების) კმაყოფილების კვლევის განხორციელება	საანგარიშო წელს განხორციელდა პროფესიული განათლებისა და პერსონალის კვლევა, რომლის შედეგები და ანგარიში წარედგინა კოლეჯის დირექტორს. კვლევის შედეგებმა აჩვენა პერსონალის კმაყოფილების მაღალი ხარისხი.	სრულად შესრულებული

სტრატეგიული მიზანი N4. პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირება და მათი მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება		
ამოცანა	**რევიზიის შედეგი**	**სრულად შესრულებული/ნაწილობრივ შესრულებული/ შეუსრულებელი**
4.1 პროფესიული სტუდენტებისათვის კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებათა ორგანიზება	გაიმართა საახალწლო ღონისძიება თვითმართველობის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. აქტიურად ჩართულები იყვნენ როგორც პროფესიული მასწავლებლები ასევე პროფესიული სტუდენტები. ექთნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზოგადოებრივ კოლეჯში ამაგი გაიმართა ღონისძიება ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: 2021 წელს ჩარიცხული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების პროფესიული სტუდენტები. ასევე კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა ექთნის საერთაშორისო დღე მიულოცეს პრაქტიკის ინსტრუქტორებს გადასცეს სერტიფიკატები. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის შემეცნებითი ღონისძიება, კონფერენციაზე განხილული იქნა ფარმაციის განვითარების გზა მსოფლიოში და საქართველოში, შემაჯამებელი სიტყვა წარმოსთქვა კოლეჯის დირექტორმა. კონფერენციის მონაწილეებმა ყვავილებით შევამკეთ, გორში, ყველასათვის საყვარელი ფარმაცევტის ძეგლი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო გორიფარმის წარმომადგენლებმაც. გადავიღეთ სამახსოვრო სურათები.28 სექტემბერს ცხოველთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ვეტერინარიის პროფესიულმა სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ცხოველთა აცრაში.4 ივლისს კოლეჯი ამაგისა და კოლეჯი განთიადის პროფესიული სტუდენტებს შორის გაიმართა სპორტული შეჯიბრი შემდეგ აქტივობებში: ღონისძიების დასრულების შემდეგ ყველა მონაწილეს გადაეცა სახელობითი სიგელი, ხოლო გამაჯრვებულ გუნდს სამახსოვრო ჯილდო	სრულად შესრულებული
4.3. პოტენციურ დამსაქმებლებთან პროფესიული სტუდენტების შეხვედრის ორგანიზება მათი შემდგომი დასაქმების მიზნით	20 სექტემბერს კოლეჯში ამაგი პროგრამა ვეტერინარიის სტუდენტებსა და დამსაქმებელს შორის გაიმართა შეხვედრა. დამსაქმებელ კომპანიას წარმოადგენდა შპს “ჩირინა” რომელიც ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანიაა. კომპანია 2010 წელს დაარსდა და პროდუქციის ბაზარზე გაშვების დღიდან ლიდერი კომპანიის პოზიცია დაიმკვიდრა. 29 ნოემბერს კოლეჯის შეხვედრის ოთახში ჩატარდა ტრენინგი განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის კარიერის დაგეგმვის კონსულტების მიერ. ტრენინგს ესწრებოდნენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები. ტრენინგს თემას წარმოადგენდა: „კარიერული განვითარება, დასაქმების შესაძლებლობები და cv-ის/სამოტივაციო წერილის მომზადება“, თითოეულ მონაწილეს მიეცა პერსონალური კონსულტაცია პროფესიული სტუდენტები დარეგისტრირდნენ სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში 24 ნოემბერს , შედგა ჯანდაცვის პროფესიული სტუდენტებისათვის დამსაქმებელთან შეხვედრა. კოლეჯს სტუმრობდა ჯანმრთელობის საერთაშორისო ექსპერტი,თერაპევტ-ქირურგი, ნუტრიციოლოგია - დიეტოლოგიის, უჯრედის ფუნქციონალაღდგენის, ქრონიკული დაავადებებისა და უცნობი ეთიოლოგიის ტესტირების სპეციალისტი, სამედიცინო ჟურნალისტიკის სამგზის "პროფესიონალის“ მფლობელი, ნოვოსიბირსკის სამეცნიერო აკადემიის ექსპერტი და საფირის ლიდერი.	სრულად შესრულებული

4.4. საერთაშორისო დამსაქმებლებთან ურთიერთობის დამყარება	დაიდო ხელშეკრულება საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ი/მ ბაუმერთან, რომელიც სამომავლოდ ხელს შეუწყობს კოლეჯი ამაგის პროფესიული სტუდენტების დასაქმებას გერმანიაში.	სრულად შესრულებული
4.5. სტუდენტთა პროფესიული და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კონფერენციებში, პროფესიონალთა მიერ ორგანიზებულღონისძიებებში და სხვა.	2022 წლის 19 ივლისს კოლეჯში ამაგი გაიმართა ტრენინგი თემაზაზე „სურსათის უვნებლობა". ტრენინგის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატები და სხვადასხვა სასწავლო მასალები. 2022 წლის 26 სექტემბერს კოლეჯში არასამთავრობო ორგანიზაცია FinExCoop Georgia -ს საერთაშორისო ფრანგმა ექსპერტმა ვეტერინარიის პროფესიული სტუდენტებისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე: ცხოველთა კვება და კვების რაციონის შემუშავება. პროექტი „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში - SQIL“ ფარგლებში მიმდინარე წლის 1-10 აგვისტოს განხორციელდა ვეტერინართა და ვეტერინარი ტექნიკოსების 10 დღიანი საველე პრაქტიკა 4 მაისს კოლეჯის ორგანიზებით ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის მოეწყო შემეცნებითი ექსკურსია ქარელის მუნიციპალიტეტში შემდეგ ობიექტებზე: ვეტ. აფთიაქებში; მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში; მეფრინველეობის ფაბრიკაში; ინკუბატორში; საკალმახეში; ცხოველთა საკვების დამამზადებელ საამქროში; ასევე, 13 ივნისს კოლეჯი ამაგის 2020 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის მოეწყო შემეცნებით-საგანმანათლებლო გასვლითი ექსკურსია. ბოტანიკური ბაღი. და შპს ,,ავერსი რაციონალში" ავერსი რაციონის წარმომადგენლებმა სტუდენტებს გააცნეს დასაქმების შესაძლებლობები ავერსი რაციონის ბაზაზე. 2021 წელს ჩარიცხული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების პროფესიული სტუდენტები. ასევე კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა ექთნის საერთაშორისო დღე მიულოცეს პრაქტიკის ინსტრუქტორებს, გადასცეს სერტიფიკატები.შეხვედრის დროს განიხილეს მომავალი დასაქმების პერსპექტივები. პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის მოეწყო შემეცნებითი ექსკურსია მეფრინველეობის ფაბრიკაში შპს "ჩირინა"-ში გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში და გამარჯვებაში.	სრულად შესრულებული
4.6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება/ უზრუნველყოფა	2022 წლის მონაცემებით არ ირიცხება სსსმ და სშშმ პირი. კოლეჯი მომავალში გააგრძელებს შესაბამისად ინდივიდუალურ საჭიროების მქონე პირთა ზრუნვის მიზნით	ნაწილობრივ შესრულებული
4.7 სასწავლო განრიგის (ცხრილი) ხელმისაწვდომობა, სასწავლო გეგმებთან თანხვედრა, მეცადინეობის განრიგის დაცვა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის კონტროლი	სასწავლო ცხრილი ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის. იგი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და ასევე ატვირთულია ყველა საკონტაქტო სოციალურ ჯგუფში. სასწავლოპ პერიოდის განმავლობაში ხდება მეცადინეობის განრიგის დაცვა,ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი როგორც დისტანციური სწავლების დროს, ასევე აუდიტორული მეცადინეობის პერიოდში.სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების მიზნით კოლეჯმა შეცვალა სტრუქტურა და დაიმატა სასწავლო პროცესის მენეჯერი სპეციალისტი.	სრულად შესრულებული

სტრატეგიული მიზანი N5. საორგანიზაციო პროცედურები		
ამოცანა	**რევიზიის შედეგი**	**სრულად შესრულებული/ნაწილობრივ შესრულრბული/ შეუსრულებელი**
5.1 ღია კარის დღეების ორგანიზება, პროფორიენტაციის ღონისძიებების მოწყობა, ვიზიტების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით გაიმართა ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა (ვებინარი), სადაც მოხდა სკოლის მოსწავლეებთან ჩართვა, რომლებიც დაინტერესებულები იქყვნენ პროფესიული პროგრამით.	სრულად შესრულებული
5.2.კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ჩართვა დაწესებულების ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებში	კურსდამთავრებულთა და პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით სკოლების ტერიტორიაზე დარიგდა საინფორმაციო ფლაერები, სადაც მოცემულია არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ ინფორმაცია	სრულად შესრულებული
5.3.ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწის ღონისძიებების გატარება	დაწესებულების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მიმდინარე წელს გაიზარდა კოლეჯის საშტატო ერთეული.	სრულად შესრულებული
5.4 კვლევის დაგეგმვა-ორგანიზება	საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა: • პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა; • მატერიალური რესურსის საჭიროების მონიტორინგი; • საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კვლევა; • პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა; • კურსდამთავრებულრთა კვლევა; • დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა • შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევა	სრულად შესრულებული
5.7 მოდულურ პროფესიულ პროგრამების შესაბამისად სასწავლო ინვენარისა და მატერიალურ ტექნიკური მასალის გათვალისწინებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენა	დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ 2022 წლის მაისსა და სექტემბერში განხორციელდა მატერიალური რესურსი მონიტორინგი და სრულყოფა. პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით შეძენილ იქნა მანასა- ნედლეული.	სრულად შესრულებული
5.8 შიდა ნორმატიული რეგულაციების განახლება და ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი მუდმივად ზრუნავს ცვლილებების შესაბამისად განაახლოს შიდა ნორმატიული დოკუმენტაცია შემუშავდა და შევიდა ცვლილება შემდეგ შიდა ნორმატიულ დოკუმენტებში: ხარისხის მექანიზმები, ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები,საქმის წარმოების ინსტრუქცია,სასწავლო მარეგულირებელი დებულება,ჩარიცხვის წესი და პირობები,მატერიალური რესურსების განკარგვის წესი,დაიხვეწა განახლდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის ინსტრუქცია, მარეგულირებელი დებულება,რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი, რეესტრის წარმოების წესი	სრულად შესრულებული